

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მომჩივანი: შპს ჰ

შემმოწმებელი: აუდიტის დეპარტამენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დაგების განხილვის საბჭომ, დ. გაბლიშვილის (სხდომის თავმჯდომარე), მ. ადეიშვილის, მ. ბარათაშვილის, მ. ბოლოთაშვილის, დ. გახარიას, შ. გვენეტაძის, დ. რუხაძის, შ. კომლაძის, გ. თინიკაშვილის, გ. ფერაძის შემადგენლობით, 6.11.2019 წელს განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება შპს ჰ 16.08.2019 წელს რეგისტრირებულ საჩივარზე.

დავის საგანი:

საჩივრის განუხილველად დატოვება - გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება:

1. აუდიტის დეპარტამენტის 26.02.2019 წლის №007-48 საგადასახადო მოთხოვნა;
2. აუდიტის დეპარტამენტის 26.02.2019 წლის №4290 ბრძანება;
3. შემოსავლების სამსახურის 31.07.2019 წლის №26398 ბრძანება;

დარიცხული თანხა: 817220.55 ლარი

მათ შორის:

დღგ - 89875 ლარი.

მოგების გადასახადი - 154930 ლარი.

საშემოსავლო გადასახადი - 175589 ლარი.

ქონების გადასახადი - 140 ლარი.

ჯარიმა - 213472 ლარი.

საურავი - 183214.55 ლარი.

ფაქტების აღწერა

მომჩივანს სადავო თანხები დაერიცხა აუდიტის დეპარტამენტის გასვლითი საგადასახადო შემოწმების 28.12.2017 წლის აქტის საფუძველზე. შემოწმებამ მოიცვა 1.01.2014 წლიდან 1.10.2017 წლამდე პერიოდი. აღნიშნულის თაობაზე გამოიცა აუდიტის დეპარტამენტის 29.12.2017 წლის №36109 ბრძანება და №007-522 საგადასახადო მოთხოვნა.

აღნიშნული აქტები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 1.03.2018 წლის №4510 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საჩივარი, აუდიტის დეპარტამენტს დაევალა, საგადასახადო ვალდებულებების დაზუსტების მიზნით, გადასახადის გადამხდელის მონაწილეობით დამატებით შეისწავლოს დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის და ერთობლივი შემოსავლის განსაზღვრის საკითხი და შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს დარიცხული თანხების კორექტირება (შემცირება).

შემოსავლების სამსახურის 1.03.2018 წლის №4510 ბრძანების აღსრულების მიზნით შედგა აუდიტის დეპარტამენტის 26.03.2018 წლის დასკვნა, რომლის თანახმად, სადავო საკითხთან დაკავშირებით დარიცხვა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით, მომჩივანმა სამშენებლო მომსახურება გაუწია შპს „ა“ (დირსის საცხოვრებელი კომპლექსი). გაწეულ სამშენებლო მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით შესრულებული სამუშაოების მოცულობა აჭარბებს გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით მიღებულ შემოსავლებს. შემოწმებით დამატებით დაბეგვრას დაექვემდებარა შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებსა და მიღება-ჩაბარების აქტებს შორის გამოვლენილი სხვაობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტით დარიცხული თანხები დარჩა უცვლელი.

აღნიშნულის თაობაზე გამოიცა აუდიტის დეპარტამენტის 4.04.2018 წლის №7922 ბრძანება და 5.04.2018 წლის №007-85 საგადასახადო მოთხოვნა. გადაანგარიშების შედეგები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 25.05.2018 წლის №12743 ბრძანებით საჩივარი, საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დარჩა განუხილველი.

ზემოაღნიშნული აქტები გასაჩივრდა საბჭოში, რომლის 10.08.2018 წლის №6089/2/2018 გადაწყვეტილებით, საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, აუდიტის დეპარტამენტს დაევალა გადასახადის გადამხდელის მონაწილეობით დამატებით შეისწავლოს დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის და ერთობლივი შემოსავლის განსაზღვრის საკითხი და შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს დარიცხული თანხების კორექტირება (შემცირება).

საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შედგა აუდიტის დეპარტამენტის 24.09.2018 წლის დასკვნა, შედგა 5.10.2018 წლის №28213 ბრძანება და 9.10.2018 წლის №007-341 საგადასახადო მოთხოვნა.

საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულების შედეგები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 12.12.2018 წლის №35720 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საჩივარი. გადასახადის გადამხდელს მიეცა წინადადება ამ ბრძანების ჩაბარებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში აუდიტის დეპარტამენტს წარუდგინოს საჩივარში მითითებული არგუმენტაციის დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულებები, მათ შორის მესამე პირების ახსნა-განმარტებები შპს „კ“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ღირებულებისა და გაწეული მომსახურების პერიოდის თაობაზე. თავის მხრივ, დაევალა აუდიტის დეპარტამენტს

დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში გადამხდელის მონაწილეობით დამატებით შეისწავლოს გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში განახორციელოს შემოწმების აქტით დარიცხული თანხების შესაბამისი კორექტირება (შემცირება);

შემოსავლების სამსახურის 12.12.2018 წლის №35720 ბრძანების აღსრულების მიზნით შედგა აუდიტის დეპარტამენტის 20.02.2019 დასკვნა, გამოცა 26.02.2019 წლის №4290 ბრძანება და №007-48 საგადასახადო მოთხოვნა. დასკვნის თანახმად, შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის N35720 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში გადამხდელმა ვერ წარადგინა საჩივარში მითითებული არგუმენტაციის დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულებები, მათ შორის მესამე პირების ახსნა-განმარტებები შპს „კ“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ღირებულებისა და გაწეული მომსახურების პერიოდის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტით დარიცხული თანხები არ დაექვემდებარა შემცირებას.

აღსრულების შედეგები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 31.07.2019 წლის №26398 ბრძანებით სადავო საკითხთან მიმართებით საჩივარი საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დარჩა განუხილველი.

შემოსავლების სამსახურის არგუმენტაცია

სადავო საკითხთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახური მიუთითებს, რომ გადამხდელის საჩივარში გამოთქმული პრეტენზიები საფუძველს მოკლებულია, აუდიტის დეპარტამენტის მიერ სრულყოფილად განხორციელდა შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების აღსრულება და სადავო საკითხის ყოველმხრივ სრულყოფილად შესწავლა/გამოკვლევა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად „დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.“

საქმეში არსებული მასალებით და ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით შემოსავლების სამსახური მიუთითებს, რომ აუდიტის დეპარტამენტის 2019 წლის 26 თებერვლის N007-48 კორექტირებული „საგადასახადო მოთხოვნა“ გამოცემულია შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის N35720 ბრძანების აღსრულების მიზნით და გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შინაარსი შეესაბამება დავის განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს. ამდენად, შემოსავლების სამსახურმა მიიჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საჩივარი სადავო საკითხთან მიმართებაში უნდა დარჩეს განუხილველი.

მომჩივნის არგუმენტაცია

2015 წლის დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №ეა-04 8089822 (თანხა დღგ-ის ჩათვლით 27394,83 ლარი) დაკორექტირდა 2016 წლის ივნისში კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №ეკ-1879174 (თანხა დღგ-ის ჩათვლით განისაზღვრა 34639,84 ლარით). 2016 წლის ივნისის თვის დღგ-ის დეკლარაციაში კორექტირების გრაფაში აისახა დამატებით დაბეგრული სხვაობის დღგ-ის თანხა 1105,17 ლარი.

2016 წლის 22 ნოემბერს აუდიტის დეპარტამენტის ბრძანება №32691-ით დაინიშნა საზოგადოების საქმიანობის თემატური კამერალური საგადასახადო შემოწმება ელექტრონულად გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ან/და სასაქონლო ზედნადებების მიხედვით 2016 წლის ივნისის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში ასახვის სისწორესთან დაკავშირებით. აუდიტის დეპარტამენტის 2017 წლის 25 იანვრის ბრძანება №1392-ით კამერალური შემოწმების შედეგად 2017 წლის 20 იანვრის კამერალური შემოწმების აქტის საფუძველზე მომჩივნის ბიუჯეტში გადასახდელად თანხა არ დაერიცხა. 2016 წლის სექტემბრის თვის პერიოდში გამოიწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №ეა-13 2892325 დღგ-ის ჩათვლით 55057,44 ლარი, რაც ამავე თვის მიხედვით 2016 წლის 13 ოქტომბერს დაკორექტირდა და კორექტირების შემდეგ დღგ-ის ჩათვლით თანხა განისაზღვრა 52225,30 ლარით. შემოწმების შედეგად ძირითადი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით გათვალისწინებულ დასაბეგრ ბრუნვას დაემატა კორექტირების შედეგად გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურებით გათვალისწინებით დასაბეგრი ბრუნვა და ორმაგად დაიბეგრა დღგ-ით. 2016 წლის მაისის თვეში დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა გაზრდილია 77572 ლარით, რაც შეუსაბამოა ამ პერიოდში გათვალისწინებულ ოპერაციებთან და პირველად საგადასახადო დოკუმენტებთან. დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა გაზრდილია სულ ჯამში 153582 ლარით, ხოლო აგვისტოს თვეში დასაბეგრი ბრუნვა არაა შემცირებული ზედმეტად ასახული დასაბეგრი ბრუნვით - 1071 ლარით და ნოემბრის თვეში 8050 ლარით. 2016 წლის ერთობლივი შემოსავალი, ასევე არასწორად გაიზარდა 153582 ლარით, რაც დაიბეგრა მოგების გადასახადით. 2016 წლის პერიოდზე ჯამში არასწორადაა გაანგარიშებული და დაბეგრილი დღგ 29287 ლარის ოდენობით და მოგების გადასახადი 23037 ლარის ოდენობით. შემოწმებელთა განმარტება, რასაც დაეთანხმა შემოსავლების სამსახური, რომ თითქოსდა შემოწმების აქტის მიხედვით სადავო საკითხთან დაკავშირებით დარიცხვა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით, მომჩივანს სამშენებლო მომსახურება გაუწია შპს „ა“ (დირსის საცხოვრებელი კომპლექსი), გაწეულ სამშენებლო მომსახურებაზე შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები და გამოწერილია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები. მიღება-ჩაბარების აქტებით შესრულებული სამუშაოების მოცულობა, აჭარბებს გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით მიღებულ შემოსავლებს. შემოწმებით, დამატებით დაბეგვრას დაექვემდებარა შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურასა და მიღება-ჩაბარების აქტებს შორის გამოვლენილი სხვაობა, არასწორია, რადგან მითითებულ პერიოდებში შემოწმებელთა მიერ ნახსენები მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც განსხვავდება გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისგან, ფიზიკურად არ არსებობს. ფინანსთა სამინისტროს საბჭოს 2018 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საგადასახადო ვალდებულებების დაზუსტების მიზნით დაევალა აუდიტის დეპარტამენტს გადამხდელის მონაწილეობით დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის და ერთობლივი შემოსავლის განსაზღვრის საკითხის დამატებითი შესწავლა და შესწავლის შედეგების გათვალისწინებით დარიცხული თანხების კორექტირება (შემცირება).

2016 წლის ივლისის თვიდან კომპანიის მიერ გაფორმდა ხელშეკრულება აუდიტორულ კომპანიასთან, პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით დაარსების დღიდან მიმდინარე პერიოდამდე ბუღალტრული აღრიცხვის აწყობის, მიმდინარე პერიოდზე დაწვევის, მიმდინარე დეკლარაციების სწორად წარდგენის და წინა პერიოდების საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების მიზნით. სამწუხაროდ კომპანიას 2016 წლის ივლისამდე საბუღალტრო აღრიცხვა არ გააჩნდა. საგადასახადო შემოწმების შესახებ შეტყობინების მიღებამდე ფაქტობრივად სრულყოფილად მოხდა წინა პერიოდის საბუღალტრო აღრიცხვის აწყობა, თუმცა ვერ მოესწრო

წინა პერიოდების დაზუსტებული დეკლარაციების წარდგენა, რითაც აიცილებდა კომპანია ჯარიმა-საურავების დარიცხვას. მომჩივანი ითხოვს ჯარიმა-საურავების მოხსნას.

დავების განხილვის საბჭო

მხარეთა არგუმენტაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ საბჭომ მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ: გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

სადავო საკითხი განხილულია შემოსავლების სამსახურის მიერ რამდენჯერმე, ასევე განხილულია საბჭოს მიერ, მომჩივანმა ვერცერთ ეტაპზე ვერ უზრუნველყო მისი არგუმენტაციის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, რაც შეცვლიდა შემოწმებით დადგენილ გარემოებებს და გახდებოდა აქტით დარიცხული თანხების გადაანგარიშების საფუძველი.

შემოსავლების სამსახურის 12.12.2018 წლის №35720 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საჩივარი. გადასახადის გადამხდელს მიეცა წინადადება ამ ბრძანების ჩაბარებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში აუდიტის დეპარტამენტს წარუდგინოს საჩივარში მითითებული არგუმენტაციის დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულებები, მათ შორის მესამე პირების ახსნა-განმარტებები შპს „კ“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ღირებულებისა და გაწეული მომსახურების პერიოდის თაობაზე. თავის მხრივ, დაევალა აუდიტის დეპარტამენტს დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში გადამხდელის მონაწილეობით დამატებით შეისწავლოს გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში განახორციელოს შემოწმების აქტით დარიცხული თანხების შესაბამისი კორექტირება (შემცირება);

შემოსავლების სამსახურის ზემოაღნიშნული ბრძანების აღსრულების მიზნით გამოცემული დასკვნის თანახმად, შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის N35720 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში გადამხდელმა ვერ წარმოადგინა საჩივარში მითითებული არგუმენტაციის დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულებები, მათ შორის მესამე პირების ახსნა-განმარტებები შპს „კ“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ღირებულებისა და გაწეული მომსახურების პერიოდის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტით დარიცხული თანხები არ დაექვემდებარა შემცირებას.

აღსრულების შედეგები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 31.07.2019 წლის №26398 ბრძანებით სადავო საკითხთან მიმართებით საჩივარი საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დარჩა განუხილველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეესაბამება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 304-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 305-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გადაწყვიტა:

1. საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) ამ გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

დათო გაბლიშვილი
სხდომის თავმჯდომარე